ლელო

27 მარტი, შაბათი, 1993 წ.
№22 (10810) ● ფასი 5 მან.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

დიდი ხანი არაა, რაც საქართველოს რესპუბლიკის განათლების მინისტრის პორტფელს ახალი პატრონი გაუჩნდა — თამაზ კვაჭანტირაძე. მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ, ეს პორტფელი ერთ-ერთი ყველაზე მძიმეა სატარებლად. დასტურისთვის არ ვამბობთ, მაგრამ ნამდვილად ასეა. მოზარდი თაობის ჰარმონიულ ფორმირებას სკოლამდელ და სასკოლო დაწესებულებებში ეყრება ძირითადად საფუძველი და, თუ როგორი იქნება ამ სფეროს განვითარების ეროვნული კონცეფცია, შედეგსაც ისეთს მივიღებთ.

ჰარმონიულ სრულყოფაში. რომელსაც ოდითგანვე ესწრაფოდა და ესწრაფვის კაცობრიობა, ცხადია, ფიზიკური აღზრდის მნიშვნელობა განუზომელია. ჩვენდა საბედნიეროდ, საქართველოს განათლების სისტემის სათავეში მუდამ მოდიოდნენ ისეთი ადამიანები, რომლებიც ფიზიკურ აღზრდას, მოზარდთა სპორტის წინსვლას ყოველნაირად უწყობდნენ ხელს. ტრადიციას არავინ ღალატობდა.

ქართული სპორტის ყველა დროის წარმატებები ბავშვთა სპორტიდან იღებს სათავეს, ბოლოს და ბოლოს, ყველა ოლიმპიურმა თუ მსოფლიო ჩემპიონმა ჯერ სწორედ სკოლის კედლებში შეითვისა სპორტის ანბანი. ასე რომ, ყველა ჩემპიონი მერხიდან მოდის.

ბატონი თამაზ კვაჭანტირაძე ქართული სპორტისთვის მუდამ გულანთებული კაცი იყო. შეიძლება ითქვას, მან ხხვებზე უკეთ იცის მოზარდი თაობის ფიზიკური აღზრდისა და სპორტში მათი დაოსტატების აუცილებლობის ფასი. თავის დროზე, ეს კი 70-იანი წლები იყო, იგი აქტიურად თანამშრომლობდა ჟურნალ „მართვეში" (მოსწავლეთა ფიზიკური აღზრდა). სპორტული ჟურნალისტიკის ნიმუშად შეიძლება ჩაითვალოს მისი არაერთი წერილი ცნობილ სპორტსმენებსა და სპეციალისტებზე, რომლებიც თამაზ ალქაბაძის ფსევდონიმით ქვეყნდებოდა „მართვეში".

დღეს გთავაზობთ მის ერთ-ერთ წერილს, რომელიც მხოლოდ იმიტომ შევარჩიეთ, რომ იგი ეძღვნება თანამედროვე ოლიმპიური თამაშების პირველ ჩემპიონს საქართველოდან დავით ციმაკურიძეს. 29 მარტი ბატონი დავითის დაბადების დღეა. „ლელოს" რედაქცია და ბატონი თამაზ კვაჭანტირაძე ამ წერილით დაბადების დღეს ულოცავენ სახელგანთქმულ ქართველ ფალავანს.

იხ. მე-2 გვ.

ოლიმპიადაზე, უძლიერესებში

ბაკურიანელი მოციგავეები, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატები ლევან თიბილოვი და კახა ვახტანგიშვილი, როგორც ცნობილია, გარკვეული დროით შესვენების შემდეგ კვლავ ერთად გამოდიან. ეს 22 წლის სპორტსმენები, რომლებსაც გამოცდილი მწვრთნელი ზაალ გურეშიძე ავარჯიშებს, წლეულს უკვე ოთხ მნიშვნელოვან შეჯიბრებაში გამოვიდნენ. სამი მათგანი მსოფლიო თასის გათამაშების ეტაპებს წარმოადგენდა: პირველი გერმანიის ქალაქ ვინცერბერგში გამართული VI ეტაპი იყო, რომელიც იანვრის მიწურულს ჩატარდა. ჩვენი წყვილისათვის იგი, სამწუხაროდ, უიღბლო გამოდგა — ერთ-ერთი დაშვებისას ციგამ უმტყუნა.

სამაგიეროდ, VII და VIII ეტაპები ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენელთათვის წარმატებით დამთავრდა — თებერვლის დამდეგს მომავალი თეთრი ოლიმპიადის ქალაქ ლილეჰამერში (ნორვეგია) მსოფლიოს უძლიერეს ეკიპაჟთა შორის მათ მე-11 შედეგი აჩვენეს, ხოლო თებერვლის ბოლოს ლეიკ-პლესიდში (აშშ) ასპარეზობისას 36 ქვეყნის სპორტსმენებთან ჭიდილში უკვე მერვენი იყვნენ.

თუ გავითვალისწინებთ წინა ეტაპებსაც (სულ ჩვენი მოციგავეები ხუთ ეტაპში გამოვიდნენ), საერთო შედეგი ასეთია — მე-11 ადგილი. ეს კი უფლებას აძლევს მათ გაისად ლილეჰამერის ზამთრის XVII ოლიმპიურ თამაშებში უძლიერესთა შორის (სულ 12 ეკიპაჟი) აიღონ სტარტი.

საქართველოს მოციგავეებმა მონაწილეობა მიიღეს კალგარიში (კანადა) გამართულ მსოფლიო ჩემპიონატშიც. ისინი პირველად გამოვიდნენ ასეთ დიდ შეჯიბრებაში საქართველოს სახელით. მათ 24 ეკიპაჟს შორის მე-10 ადგილი დაიკავეს. აღსანიშნავია, რომ ზემოხსენებულ ოთხივე შეჯიბრებაში საქართველოს წარმომადგენლებმა გაუსწრეს ყოფილი სსრკ-ის რესპუბლიკების ყველა ეკიპაჟს — რუსეთის, უკრაინის, ლატვიის წყვილებს. ჩვენს ბიჭებს უკეთესი შედეგების ჩვენებაც შეეძლოთ, მაგრამ აქ კვლავ იჩინა თავი იმ სავალალო ფაქტორმა, რომ ამ ჭეშმარიტად „ოქროს წყვილს" არა აქვს თანამედროვე ტიპის ციგა — ავსტრიული „გასერი" ან გერმანული „დერმინა". ვიმედოვნებთ, რომ რესპუბლიკის სპორტკომიტეტი სპორტის ზამთრის სახეობების ფედერაციასთან და სპონსორებთან ერთად გადაჭრიან ამ საკითხსაც — თეთრი ოლიმპიადის წინ შეიძენენ სასურველ ციგას. მით უფრო, რომ ჩვენი წყვილი ლილეჰამერის თამაშებში პირველ ათეულში მოხვედრას იმედოვნებს. მანამდე კი (ოქტომბერ-ნოემბერში) დაიწყება მსოფლიო თასის გათამაშების ახალი ციკლი, რასაც მომავალ წელს ევროპის ჩემპიონატი (გერმანიის ქალაქი კიონიგზე) და თეთრი ოლიმპიადა მოჰყვება.

ოთარ ნოზაძე

კახა ვახტანგიშვილი (მარცხნივ) და ლევან თიბილოვი.

გაიხსნა „სპეშიალ ოლიმპიკსი"

ამ დღეებში ავსტრიის ქალაქ შლადმინგში (შტარიის მიწა) საზეიმო ვითარებაში გაიხსნა ზამთრის სპეციალური ოლიმპიური თამაშები — „სპეშიალ ოლიმპიკსი", რომელიც, როგორც ცნობილია, დაქვეითებული ინტელექტის მქონე ადამიანთათვის ტარდება. ქალაქის მყუდრო სტადიონი მორთული იყო ხუთი სხვადასხვა ფერის რგოლებით, დროშებით, ტრანსპარანტებით, გიზგიზებდა ოლიმპიური ცეცხლი. სხვათა შორის, ამ ოლიმპიადების არც ისე ხანგრძლივ ისტორიაში პირველად დატოვა თამაშებმა შეერთებული შტატების საზღვრები და ევროპაში გადაინაცვლა.

მაყურებლებით გაჭედილ ტრიბუნებს გახსნის ცერემონიალზე 65 ქვეყნის 1600-მა „სპეცოლიმპიელმა" ჩაუარა. ყოველ დელეგაციას მიუძღოდა მედროშე ეროვნული ალმით ხელში. მრავალრიცხოვან სტუმრებს შორის შლადმინგს ესტუმრა ამერიკის ყოფილი პრეზიდენტის ჯონ კენედის და იუნის კენედი-შრაივერი, რომელმაც 25 წლის წინ რამდენიმე ენთუზიასტთან ერთად დააარსა გონებრივად ჩამორჩენილთა საერთაშორისო მსოფლიო სპორტული ორგანიზაცია.

...სტადიონზე ფიცის სიტყვები („მე მინდა გავიმარჯვო და თამამად ვიბრძოლებ გამარჯვებისათვის იმ შემთხვევაშიც კი, თუკი ვერ შევძლებ ამას) ოლიმპიადის მონაწილეებმა გერმანულ და ინგლისურ ენებზე წარმოთქვეს. ისინი იმეორებდნენ იმას, რასაც ომახიანი ხმით აცხადებდა ოლიმპიადის საორგანიზაციო კომიტეტის საპატიო პრეზიდენტი, ცნობილი კინომსახიობი და ათლეტი, ავსტრიული წარმოშობის ამერიკელი არნოლდ შვარცენეგერი. ერთობ ლამაზი და ფერადოვანი კულტურული პროგრამის შემდეგ ავსტრიის ფედერალურმა პრეზიდენტმა თომას კლესტილმა ოლიმპიადა გახსნილად გამოაცხადა.

თამაშების პროგრამაში შეტანილია შეჯიბრებები ციგურაობაში, სამთო თხილამურებში, ჰოკეიში, სათხილამურო რბენებსა და ფიგურულ სრიალში. სპორტსმენები ასაკისა და ინვალიდობის ხარისხის შესაბამისად რამდენიმე საბაზო კატეგორიად არიან დაყოფილი, რაც ყველა მონაწილისთვის თანაბარი ბრძოლის საშუალებას იძლევა.

როგორც ამბობენ, თამაშების ჩატარება ორგანიზატორებს 32 მილიონამდე შილინგი (3 მილიონი დოლარი) დაუჯდებათ. ამ თანხის დიდი ნაწილი, ბუნებრივია, სპონსორების მიერ არის გადახდილი („კოკა-კოლა", „კოდაკი", „აი-ბი-ემი", „მაკდონალდსი", „ადიდასი" და ა. შ.). საკმაოდ დიდი წვლილი შეიტანა ამ ზეიმის დაფინანსებაში ევროპის თანამშრომლობის კომისიამ...

გიორგი ბაქაქური

ნაკრების ახალი მწვრთნელი

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ რესპუბლიკის ეროვნული ნაკრების მთავარ მწვრთნელად დანიშნა სპორტის დამსახურებული ოსტატი ალექსანდრე ჩივაძე.

საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში
უმაღლესი ჯგუფი

განვლილი ტურის მატჩი ზუგდიდის „ოდიშსა" და ბათუმის „ბათუმს" შორის შედგა ფოთში და დამთავრდა ფრედ — 3:3. შეხვედრას სჯიდნენ ა. შილაკაძე, მ. ელიკაშვილი (ორივე — თბილისი) და ა. წერეთელი (ქიათურა). გოლები: ტუღუში, კანტიძე, ხომერიკი („ბათუმი"), ჭიჭინაძე, ჯანაშია — 2 („ოდიში"). გააფრთხილეს კვიტატიანი („ოდიში").

გათამაშების ცხრილი

უმაღლესი ჯგუფი

მდგომარეობა 26 მარტისთვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„დინამო" (თბილისი)	18	15	1	2	47-13	46
„ალაზანი" (გურჯაანი)	18	11	2	5	35-26	35
„შევარდენი-1906" (თბილისი)	18	10	3	5	37-21	33
„ტორპედო" (ქუთაისი)	18	10	2	6	36-21	32
„მარგვეთი" (ზესტაფონი)	16	10	2	4	31-26	32
„ხამგურალი" (წყალტუბო)	18	9	4	5	43-26	31
„გორდა" (რუსთავი)	18	9	4	5	47-37	31
„კოლხეთი-1913" (ფოთი)	18	9	4	5	31-20	31
„ბათუმი" (ბათუმი)	18	7	3	8	31-31	24
„დილა" (გორი)	18	7	2	9	25-34	23
„კახეთი" (თელავი)	17	6	3	8	28-35	21
„სამტრედია" (სამტრედია)	17	6	3	8	18-24	21
„გურია" (ლანჩხუთი)	17	6	2	9	19-33	20
„მრეტები" (თბილისი)	17	6	1	10	21-37	19
„ივერია" (ხაშური)	18	5	1	12	18-39	16
„ცხუმი" (სოხუმი)	17	2	1	14	23-46	7
„ოდიში" (ზუგდიდი)	17	1	2	14	21-44	5

„ჰერაკლიდები": ტანი და იდეოლოგია

„ახალ ცხოვრებას დაჩიავებულ-მოდუნებული სხეულით ვერ შევძლებთ"

ეს ვინ არის?! — გაოცებულებმა გადავხედეთ ერთმანეთს. — რაც კი თბილები გვაბადია, ყველაფერი გვაცვია და მაინც პალტომოსხმულები ვსხედვართ რედაქციის გაყინულ ოთახებში, ეს კი მაისურით და დაუთბილავი ჯინსის „ქურტკით" არ გამოგვეცხადა?!

— ნაღდად არ გცივა?

— ივარჯიშე, ძმაო და არც შენ შეგცივა. და საერთოდ...

ეს, რა თქმა უნდა, მაშინღა ვკითხე, როცა გავიცანი და გავუშინაურდი, თორემ პირველად ისიც კარგად შევამჩნიე, რომ ის მაისური და თხელი ქურთუკი პროფესიულად მოვარჯიშე კაცის ტანს მორგებოდა და, რა ორი თავი მე მქონდა, კუნთებადქცეული უცნობისათვის ახირებული კითხვით მიმემართა?

...და საერთოდ, — აგრძელებს ჩემი ახალგაცნობილი მოსაუბრე, ათლეტურ კლუბ „ჰერაკლეს" პრეზიდენტი **გიორგი ხომერიკი** — ყველამ კარგად ვიცით, რომ ადრინდელივით აღარ დაგვეკვეხნება ბევრი ის თვისება, ჩვენს წინაპრებს რომ გამოარჩევდა სხვათაგან. განგებამ და ისტორიამ ინება ისე, რომ ქართველ კაცში ჰარმონიულად შერწყმოდა ერთმანეთს მიწათმოქმედი, ქრისტიანი და მეომარი ანუ შრომასიბეჯითე, ზნეკეთილობა და ფიზიკური სიჯანსაღე. სხვანაირად იგი ვერც ქვეყანას უპატრონებდა, ვერც თავს გადაირჩენდა. ნიადაგ მტერმოჯარული რიცხვმცირე ერის გამუდმებული ბრძოლა თავისუფლებისა და თავისთავადობისთვის — აი, რამ ჩამოაყალიბა და გამოკვეთა ქართველი კაცის ისტორიული ტიპი. მაგრამ დიდი ხნის მანძილზე თავისუფლების აყრამ და გაუკუღმართებულმა ყოფამ ეს ტიპი სულითაც დააკნინა და ხორცითაც, სიმტკიცე და სიჯანსაღე მოაკლო ერთსაც და მეორესაც. იშვიათობაღაა საჩოხე წელი, ბეჭგანიერობა, სიჩაუქე, სიქველე და რაინდული ქცევა. თუ კაცი სპორტს პროფესიულად არ მისდევს, ტანის სიმრთელით აღარ გამოირჩევა. ჰოდა, მოკლედ, ამ საქმეს შველა უნდა, მით უმეტეს, ახლა, როცა ახალი ცხოვრების დაწყებას ვლამობთ, ახალ ცხოვრებას და ღირსეულად არსებობას კი დაჩიავებულ-მოდუნებული სხეულით ვერ შევძლებთ. გინდაც მაღალფარდოვანიაო, თქვათ, მაინც ვიტყვი. გამოფხიზლებულმა ეროვნულმა სულმა გამოჯანსაღებულ ეროვნულ სხეულში უნ-



გიორგი ხომერიკი

იხ. მე-3 გვ.

საქართველოს ჩემპიონატი

ხელბურთი ● ქალები

I ტური. თბილისი.

22 მარტი. „თოლია" (ბათუმი) — „კოლხეთი" (ფოთი) — 29:12, „ქუთაისი" — „მართვე-II" (თბილისი) — 11:32, „მართვე-სტუ" (თბილისი) — „მართვე-III" — 37:9.

23 მარტი. „მართვე-სტუ" — „კოლხეთი" — 29:9, „თოლია" — „ქუთაისი" — 21:20, „მართვე-II" — „მართვე-III" 24:14.

24 მარტი. „თოლია" — „მართვე-II" — 21:31, „კოლხეთი" — „მართვე-III" — 31:23, „მართვე-სტუ" — „ქუთაისი" — 29:9.

25 მარტი. „კოლხეთი" — „მართვე-II" — 10:21, „ქუთაისი" — „მართვე-III" — 25:16, „მართვე-სტუ" — „თოლია" — 34:15;

26 მარტი. „ქუთაისი" — „კოლხეთი" — 13:13, „თოლია" — „მართვე-III — 29:16, „მართვე-სტუ" — „მართვე-II" — 26:23.

პირველი, პირველმა, პირველად...

დადგება ჟამი და ბიჭები, გაურკვევლობის ბურუსით დაფარული სიმაღლისკენ მიმავალნი, ხაზებს შეანელებენ — მათ დაწმენდილ მზერას ბევრი სხვადასხვა სიმაღლის მწვერვალი გადაეშლება. ბიჭები აკეთებენ არჩევანს. ისინი ზვერავენ სახიფათო ტრავერსებს, აკვირდებიან უკაცრიელ მწვერვალებს, მეჩხერად დასახლებულ ფერდობებს და ხალხმრავალ დაბლობს — კისრის მოტეხის რისკი რისკად, მაგრამ მწვერვალი ცუდი სამოსახლოც ყოფილა. ბიჭები აკეთებენ არჩევანს. უმეტესობა დაბლობში დაიბუდებს მშვიდად — ნუ დავძრახავთ გამოცდილში ხელმოცარულთ. ზოგიერთი კი მწვერვალს მიშტერებია და, თუმცა ამ ბიჭებს, ჩვეულებრივ, გრამატიკა არ უყვართ — ფანატიკური სიჯიუტით აბრუნებენ ერთ სიტყვას: პირველი, პირველმა, პირველად...

ერთ-ერთმა ამ ბიჭთაგან 1952 წელს სპორტული მწვერვალი დაიპყრო: დავით ციმაკურიძე — ოლიმპიური ჩემპიონი თავისუფალ ჭიდაობაში.

● ბატონო დავით, თქვენ ქართველთა შორის პირველმა მოიპოვეთ ოლიმპიური ჩემპიონობ....

— აბა რა გითხრათ, — შემაწყვეტინა მასპინძელმა (სახელდახელოდ გაშლილ სუფრას ვუსხედვართ და ვსაუბრობთ), — ჩემზე ადრე იქნებ ვინმე კოლხმა მორბენალმა ან მოჭიდავემ შეძლო ეს...

● ბატონი ბრძანდებით, დავაზუსტოთ: ჩვენი წელთაღრიცხვით (გამეცინა) პირველ ოლიმპიადაზე, რომელშიც ქართველები მონაწილეობდნენ, თქვენ ხართ ჩვენს თანამემამულეთა შორის პირველი, ვინც ოქროს მედალი მოიპოვა. იღბალი იყო ეს, შემთხვევითობა თუ კანონზომიერება?

— ცოტ-ცოტა ყველაფერი. ტანმოვარჯიშეთა შეჯიბრება ჩვენსაზე ადრე რომ დამთავრებულიყო, ან. ცოტა ძნელი წარმოსადგენი კია, მაგრამ, არსენა რომ სამი ფუთით ჩემზე მჩატე ყოფილიყო, პირველი ჩემპიონი, ალბათ, მზია ჯულელი ან არსენ მეკოკიშვილი, იქნებოდა.

● სამი ფუთით მჩატე არსენა ის არსენა აღარ იქნებოდა...

— ცდებით, იგივე არსენა იქნებოდა... მოჭიდავე არც წონა, და, თქვენ წარმოიდგინეთ, არც მარტო ჯანია. არსენას ხასიათის კაცი არ შეიძლებოდა პირველი არ ყოფილიყო სხვა წონაში კი არა, თუ ხელს მოჰკიდებდა, სპორტის სხვა სახეობაშიც. იღბალს რა ვუთხრა, თორემ ოცი წლის მანძილზე რომელ მსოფლიო ან ოლიმპიურ პირველობაშიც მიიღო მონაწილეობა, ყველას მოიგებდა.

შეღვედის რეკორდების რა მოგახსენოთ...

● შვიდგზის საბჭოთა კავშირის ჩემპიონი დავით ციმაკურიძეც, ალბათ, ხელცარიელი არ დაბრუნდებოდა მსოფლიო ჩემპიონატიდან, თუნდაც ერთხელ რომ მიეღო მასში მონაწილეობა.

— შეიძლება... ისე, ეტყობა, სამართალმა პური ჭამა, რაღაც კანონზომიერებაც ნაღდად იყო — პირველი ქართველი ოლიმპიური ჩემპიონი სწორედ მოჭიდავე უნდა ყოფილიყო. მაინცდამაინც მე კი არა — მოჭიდავე, სულერთია ვინ, მაგრამ, მოჭიდავე...

● მართალს ბრძანებთ — რაც ჩვენ ამ სამი ათასი წლის მანძილზე გვიჭიდავია, გვიძიძგილავია და გვიბრძოლია.. ეს იგულისხმეთ, ბატონო დავით?

— სხვაც... ჭიდაობა, როგორ გითხრათ და... მარტო სპორტი არ არის (დავითს თვალები სხვანაირად წამოენთო), ან იქნებ ნაღდი სპორტი მარტო ეგ იყოს... ეგა და კრივი. მოჭიდავე რომ ვარ (ვიყავი არ უთქვამს), ეს არ მალაპარაკებს. ვიცი, მძიმე საქმეა რკინასთან, წყალთან, დედამიწის მიზიდულობის ძალასთან ჭიდილი; ენა როგორ მომიბრუნდება, რომ ძალოსანი, მოცურავე ან სიმაღლეზე მხტომელი რაღაც დაბალი რანგის სპორტსმენებად გამოვაცხადო, ღმერთმა დამიფაროს — მე თავად ტანვარჯიშით და ცურვით დავიწყე... ის მინდა გითხრათ, რომ სხვაა, როცა უსულო საგანს ამარცხებ და სულ სხვა — ხალიჩაზე კაცის დაჯაბნვა...

● მარათონელი მარტო დროს კი არ ებრძვის, მის ზურგსუკან მქშინავ მოწინააღმდეგესაც...

— რომელსაც ვერაფრით შეუშლის ხელს, თუ მეტოქეს ძალა და სისწრაფე ეყო მის გასასწრებად. ესაა საქმე...

● სხმის ბატონო დავით! მოჭიდავე და მოკრივე რამდენად ბჭმნიან თავისას, იმდენად უშლიან ხელს მოწინააღმდეგეს შექმნაში, მაგრამ განა ასევე არ არის ფეხბურთში, რაგბიში, ჩოგბურთში?

— მთლად ასე არა! მოჭიდავე მხოლოდ თავის თავს დანდობილი გადის ხალიჩაზე, ერთი ერთზე. ვერავის იმედად ვერ იქნება, ვერც მარცხს გადააბრალებს სხვას. მეტყვით, მეტრეველიც ასე პირისპირ დგას კორტზე მოწინააღმდეგესთანო. მაგრამ დამიჯერეთ, სხვაა შენი ძალის, სისწრაფის, მოხერხებულობის... რა ვიცი, კიდევ რა ვთქვა... თუნდაც ბოლმის მოციქულად როცა ბურთი ან დაშნა გყავს და სხვაა ყველაფერი ეს საკუთარი სხეულით მოწინააღმდეგესთან უშუალო შეხებით ნაგრძნობ-გამოცდილი. არა, ეს ცოტა სხვანაირი რაღაცაა.

● ალბათ ის, რასაც ჰქვია: კაცის სხეულის გამოცდა მთლიანობაში. მოკლედ, მოჭიდავეს უნდა ძალოსნის დონე, სპრინტერის სისწრაფე და მარათონელის გამძლეობა.. ძალა, სისწრაფე, გამძლეობა — ხომ არაფერი გამომრჩა?

— ჭკუა...

● უკაცრავად.

— ხამდვილად დიდი მოჭიდავე... მე მსოფლიო ან თუნდაც ოლიმპიურ ჩემპიონებზე არ მოგახსენებთ... ნამდვილად დიდი მოჭიდავე უთუოდ ძალიან ჭკვიანიც უნდა იყოს.

● ტაქტიკურად ძლიერი?

— ტაქტიკა ჭკუის ერთი მხარეა, კონკრეტულ შემთხვევაში წარმატების მიღწევისათვის ძალიან მნიშვნელოვანი რამე. მაგრამ ერთეული შეხვედრის ან თუნდაც შეჯიბრების — როგორი მნიშვნელოვანიც არ უნდა იყოს იგი — მოგებით დიდი მოჭიდავე ვერ გახდები, მოჭიდავის ჭკუა იმაში გამოჩნდება, მოიწყობს თუ არა მთელ თავის სპორტულ ცხოვრებას ისე, რომ წარმატებები სტაბილური, ხანგრძლივი და შთამბეჭდავი ჰქონდეს.

● ეს ნიშანი მარტო მოჭიდავის კი არა, საერთოდ, სპორტსმენის ჭკუის განსასაზღვრად გამოდგება.

— მე მგონია, არც მარტო სპორტსმენის...

● მით უმეტეს, ბატონო დავით, და რაკი ჩვენ ჭიდაობის სპეციფიკა გვაინტერესებს, მოდით ისევ ამ ზოგადი ჭკუის კონკრეტულ გამოვლინებას, მოჭიდავის ტაქტიკას მივუბრუნდეთ. ბევრი გინახავთ უხეირო ტაქტიკის წყალობით წაგებული ორთაბრძოლები?

— საკმაოდ ბევრი. აქ ზოგჯერ მწვრთნელსაც მოსდის იალღში. იაპონიაში, მსოფლიო პირველობაზე, ნიკოლოზ მუზაშვილი მწვრთნელის დაჟინებული რჩევითა და კარნახით იაპონელს დგომში ეჭიდავებოდა. ნიკოლოზი დიდებულად აკეთებდა ჩოქბჯენში ფეხის ჩაზვევას — ვარჯიშის დროს ბევრი მოჭიდავე, ორი-სამი წონითი კატეგორიით მასზე მძიმე, ამოუტრიალებია, დგომში კი რეზინასავით მოქნილი იაპონელი სჯაბნიდა. არა და არ აჭიდავა მაშინდელმა ნაკრების მწვრთნელმა ჩოქბჯენი და ოქროც დააკარგვინა. მაგრამ ზოგჯერ თავად მოჭიდავე უშვებს ხოლმე იმგვარ შეცდომას, რომ მწვრთნელს შეიძლება ინფარქტი დამართოს. ახლაც ბოლმა მახრჩობს, ტოლედოს მსოფლიო ჩემპიონატი რომ მახსენდება... იქ ნაკრების მწვრთნელი გახლდით... როგორი საქმეა, თოთხმეტ წამში მსოფლიო ჩემპიონის ოქროს მედალი მოწინააღმდეგეს უფეშქაშა...

● ეგაძის შესახებ ბრძანებთ?

— მაშ!

● როგორ, ბატონო დავით, მოჭიდავემ არ შეიძლება განა ნებისმიერ მომენტში დაამარცხოს მოწინააღმდეგე? გერ, ლევან თედიაშვილს მეშვიდე წამზე ჰყავს მეტოქე ხალიჩაზე გაკრული.

— როგორ არ შეიძლება. მეც მყავს ათ წამში კაცი წაქცეული — ბაქოელი ოსტატი იყო, მანამდე არ შევხვედროდი. ხელი რომ ჩამომართვა, კინაღამ მკლავი წამაცალა. თან გავბრაზდი, თანაც გამეცინა, რა შესაშინებელი კაცი მე მნახა-მეთქი. დაკვირვებული ვიყავი, მოჭიდავე ხელის ჩამორთმევის შემდეგ იხრება, ხელს წინ იშვერს და მარჯვენა ფეხს წინ დგამს. წამის რაღაც მეათედებში საყრდენი გამოცლილი აქვს. მოიხარა და მარჯვენა ფეხი ხალიჩას მოწყვიტა თუ არა, მარჯვენა მკლავზე მკვეთრად დავქაჩე, ფეხი გადავუდე (ბატონი დავითი წამოხტა და მისმა ვეებერთელა სხეულმა კატასავით მსუბუქი და სხარტი მოძრაობა გააკეთა), მოვცელე და რამდენიმე წამში ხიდიც ჩავუტეხე... ეგაძის შემთხვევა სხვა იყო. უკანასკნელ თოთხმეტ წამში კი არა, ჭიდაობა შეიძლება ერთ წამში წააგო, მაგრამ

დავით ციმაკურიძე

ჭკვიანი მოჭიდავე მსოფლიო ჩემპიონატის ფინალურ ბრძოლაში, რომელიც მოგებული გაქვს საკმაო უპირატესობით, შეხვედრის დამთავრებამდე თოთხმეტი წამით ადრე თავად არ შექმნი კრიტიკულ სიტუაციას; თვითონ არ დაიწყებ იმგვარი ილეთის ჩატარებას, სარისკო რომ იყოს. ესაა საქმე... ოლიმპიადის ფინალში ბოლო წუთზე ტახტიმ ჩოქბჯენში გადამიყვანა, ოცდარვა წამი იყო დარჩენილი, რომ ხელიც ამილო. ტახტი თუ ხელს აგილებდა, მოგკლამა ჭირი — იმნაირი უსაშველო ლონის მოჭიდავე არც მანამდე და არც მერე აღარ შემხვედრია. ჩვენ შორის გამარჯვებული ოლიმპიური ჩემპიონი ხდებოდა. მანამდე ორი სამქულიანი გდება გავუკეთე, ექვსით ორს ვუგებდი და ნახევარი წუთით ადრე ტახტიმ ჩოქბჯენში ხელი ამილო. ცოტა უხერხულად ამილო — თუ მკლავს მიეცემდი, შესაძლოა ჩემთვის [illegible], სწორედ ამ წინააღმდეგობის [illegible] ამოვებრუნებინე და ხიდზე შევეყენებინე. [illegible] არ უნდა იყოს მსაჯი, მოჭიდავეს აშკარად მკლავის მოსატეხად ვერ გაიმეტებს. მივეცი მკლავი...

● ხიდის იმედი არ გქონდათ?

— არც ეგრე იყო საქმე, დაბალი, მაგრამ მტკიცე ხიდი მქონდა. ერთხელ — ახალბედა ვიყავი, ჭიდაობა მაშინ ოც წუთს გრძელდებოდა, 18 წუთი ხიდზე ვყავდი მოწინააღმდეგეს დაჭერილი და ვერ ჩამტეხა, კისრები საქართველოს ნაკრების წევრებს ყველას მორგვივით გვქონდა, მაჩაბლიანის დამუშავებული...

● მძიმე წონაში რომ ჩემპიონი იყო?

— სწორედ იმის. როგორია საქმეა ასოცი კილო ქვა და რკინა რომ კისერს დაგიმუშავებს! მახსოვს, ახალგაზრდა გივი კარტოზიასაც არ უყვარდა მაჩაბლიანის წნეხში კისრის ჩადება. მაჩაბლიანი ხალიჩაზე მოიფრთხვნიდა და ღაიძახებდა: „მოდი, ბიჯო! არ გინდა მსოფლიო ჩემპიონი გახდე?" მერე ხომ გახსოვთ, როგორი ხიდი დაიყენა გივიმ, კეფით ლამის საკუთარ ქუსლებს ეხებოდა...

● ტახტის მკლავი მიეცით, ჰყვებოდით..

— ...ის იყო, უცნაური ტკივილი მეტაკა, იდაყვში კი არა, ტვინში, და, არბიტრმაც ჩასტვინა — ტახტის ხელი გააშვებინა... მოვიგე.

● ესე იგი, თქვენც რისკზე წახვედით, ტახტის მკლავი რომ მიეცით...

— მე მკლავის მოტეხვის რისკზე წავედი, რომ წაგების რისკზე არ წავსულიყავი...

● ბატონო დავით, იქნებ ვცდებოდე, მაგრამ ახლანდელი ჩვენი მოჭიდავეების ჩავარდნის მიზეზი ის მგონია, რომ მათგან ცოტანი თუ გაიმეტებენ მკლავს გამარჯვებისათვის.

— ოლიმპიური ოქროსთვის შესაძლოა ბევრმაც გაიმეტოს, მაგრამ საქმე ის არის, ამ ოქრომდე მისვლაა საჭირო. ამისთვის კი ახალგაზრდა კაცმა, სპორტსმენმა ბევრი რამ უნდა მოიკლოს, ბევრ სიამოვნებასა და ცდუნებაზე ხელი აიღოს, უამრავი ოფლი დაღვაროს... აქ მარხია ძაღლის თავი — ახალგაზრდობა ახლა იმდენს და ისეთი გატაცებით აღარ ვარჯიშობს. ჩემი თაობის მოჭიდავეები ექვსის ნახევარზე რომ წამოვხტებოდით, ცხრა საათამდე მთელი ოქროყანა, მთაწმინდა, ტაბახმელა, ფეხით გვქონდა შემორბენილი; ხალიჩაზე მხარ-თეძოზე კი არ ვნებივრობდით, სამ-ოთხ მოწინააღმდეგეს ვიცვლიდით სხვადასხვა წონისას — დაუშვილით რომ ვიწყებდი, მაჩაბლიანით ვამთავრებდი. ახლა მომრავლდნენ შუა გზაზე შეჩერებული, მცირედითაც კმაყოფილი მოჭიდავეები... — ეჭვით გადმომხედა, — ბებერივით ხომ არ ავბუზღუნდი?

გამეცინა — დავით ციმაკურიძის თვალებით ისევ ის ბიჭი იმზირებოდა, მწვერვალს მიშტერებული ფანატიკური სიჯიუტით რომ იმეორებს: პირველი, პირველმა, პირველად.

საუბარი ჩაიწერა **თამაზ ალკაბაძემ.**

„მართვე" № 2, 1976 წ.

საქართველოს ჩემპიონატები ● ფრენბურთი

„ვერავის ვერაფერს ვუსაყვედურებთ"....



„მოთამაშეთა ტექნიკური დონე ჯერ კიდევ ვერ უპასუხებს საერთაშორისო სტანდარტებს, ამიტომაც ევროპის საკლუბო გათამაშებებში წარმატების იმედიც არ უნდა გვქონდეს, თუმცა, უსახსრობის გამო იქ ალბათ ვერავის გავაგზავნით..." — ამბობს ფრენბურთის რესპუბლიკური ფედერაციის პრეზიდენტი ქალბატონი გიული ჯალაღანია.

ფედერაციის პრეზიდენტს საქართველოს ფრენბურთელ ქალთა და ვაჟთა ჩემპიონატების დამთავრების შემდეგ გავესაუბრეთ და, ცხადია, ამ შეჯიბრებების შეფასებაც ვთხოვეთ. აი, რა გვითხრა მან:

— იმ მიზნით, რომ შემთხვევითობანი გამოგვერიცხა, უფრო ნათლად დაგვენახა, რა მდგომარეობაშია დღეს ჩვენი ფრენბურთი, ჩემპიონატები 3 ტურად ჩავატარეთ, მიმოსვლით, ისე, რომ ყველას მოუწია სტუმარ-მასპინძლობა. სხვათა შორის, დარბაზები, რომლებშიც მატჩები ეწყობოდა, მაყურებელს ვერ იტევდა — იმიტომ კი არა, რომ ექსტრაკლასის სპორტსმენები იყვნენ სარბიელზე, გულშემატკივრებს მონატრათ სპორტული სანახაობანი.

განსაკუთრებით უნდა გამოვყო გორის ეკონომიკის ინსტიტუტის ქალთა გუნდის ხელმძღვანელობის გულმოდგინება. საბოლოოდ გორის „მერცხალი" მესამე ადგილზე გავიდა, მაგრამ მოთამაშეებს, მათ მწვრთნელს ელდარ კაპანაძეს, ინსტიტუტის თავკაცებს, სპონსორს — კოოპერატივ „მშენებელს" (თავმჯდომარე ნუგზარ მჭედლიშვილი) არაფერი დაუშურებიათ გუნდისთვის.

გორელებმა წინ „გაუშვეს" საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის ფრენბურთელები და თბილისის საფეიქრო ქარხნის გუნდი „შევარდენი", რომელიც წარსულში ცნობილმა ფრენბურთელმა ცისანა აბუაშვილმა ჩამოაყალიბა. შევარდნელები ამ საწარმოო გაერთიანებასთან არსებული სახალხო მოხმარების საგნების საიჯარო საწარმოს (დირექტორი თემურ გოგოლაძე) მეოხებით შესანიშნავად მოემზადნენ და ჩემპიონობაც დაისაკუთრეს.

ამ გუნდების გარდა ტურნირში მონაწილეობდნენ ფიზკულტურის ინსტიტუტის და თბილისის გასათლების სამმართველოს ფრენბურთელები. დასანანია, რომ ჩემპიონატმა დასავლეთ საქართველოსა და კახეთის რაიონების სპორტსმენთა გარეშე ჩაიარა. მათ, თავადაც მოგეხსენებათ, ობიექტურმა მიზეზებმა შეუშალა ხელი, ამიტომაც ვერაფერს ვუსაყვედურებთ. ჩემპიონატში უმეტესად უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტები მონაწილეობდნენ, რაც მათთვის ძალების შესანიშნავი შემოწმება გამოდგათ რესპუბლიკური უნივერსიადის წინ.

ვაჟთა შეჯიბრებაში უძლიერესი იყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გუნდი (მწვრთნელი [illegible], სპორტული თავმჯდომარე პროფესორი ნოდარ ამაღლობელი), მეორე ადგილზე გავიდნენ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის, მესამეზე — ფიზკულტურის ინსტიტუტის სპორტსმენები.

ჩემპიონატის ორგანიზაციით უკმაყოფილო არ ვარ, მაგრამ მოთამაშეთა ტექნიკური დონე ჯერ კიდევ ვერ უპასუხებს საერთაშორისო სტანდარტებს, ამიტომაც ევროპის საკლუბო გათამაშებებში წარმატების იმედიც არ უნდა გვქონდეს, თუმცა, უსახსრობის გამო იქ ალბათ ვერავის გავაგზავნით, სამაგიეროდ, ვეცდებით მოვიწვიოთ უცხოური გუნდები — რა ხანია, საქართველოს ფრენბურთელებს ძალიან არ უთამაშიათ საერთაშორისო მატჩებში. ერთგვარი კომპენსაცია იქნება ისიც, თუ რესპუბლიკური უნივერსიადის გამარჯვებული მსოფლიო უნივერსიადაში გამოვა.

კითხვაზე, როგორია ჩვენი ფრენბურთის მატერიალური ბაზა, გ. ჯალაღანიამ გვიპასუხა:

— ერთობ მწირი. რესპუბლიკაში მინიმუმამდე შემცირდა [illegible] რიცხვი, დედაქალაქშიც კი, სადაც ამ 20-30 წლის წინ რამდენიმე ათეული კეთილმოწყობილი ბაზა იყო, თითქმის აღარც ერთი არ დარჩა. ფრენბურთმა [illegible], თუმცა არც [illegible].

მონატრებული შეჯიბრებები

ახეთი ხალხმრავლობა ბაკურიანის პარკს კარგა ხანია არ ახსოვს — აქ შეიკრიბნენ სათხილამურო სპორტის მოყვარულები, ახალი სპორტული კლუბის „ია-9"-ის წევრები, ვეტერანი სპორტსმენები — კობა წაქაძე, მიხეილ გავა, ლიანა ვოგოლაძე, ოთარ ხვედელიძე, ნელი ომიაძე, იური ოგანეზოვი...

პირველ დღეს გაიმართა შეჯიბრება გიგანტურ სლალომში. უმცროსი ასაკის გოგონებში უძლიერესი იყო ილონა აპლანიანი, უფროსებში — [illegible]. ბიჭებში თავი ისახელეს [illegible] და დათო მიქელაძემ.

მეორე დღეს სუპერ-გიგანტში უძლიერესი აღმოჩნდა [illegible].

ყველა გაახარა ცეროდენა მოთხილამურეების — [illegible].

ამავე დღეს 25-მეტრიან ტრამპლინზე იასპარეზეს „მფრინავმა მოთხილამურეებმა". მათში უძლიერესი იყო რუსლან ბანდური, რომელმაც ტრამპლინის ახალი რეკორდი დაამყარა (31 მეტრი).

დაბოლოს: მადლობის მეტი რა გვეთქმის შეჯიბრების ორგანიზატორებს, რომლებმაც საუკეთესო პირობები შექმნეს [illegible].

სოფიკო ხეთაგაშვილი,
„ლელოს" კორ.

„შევარდენმა" წამოიწყო და აგრძელებს...

ამ კარგ ტრადიციას შარშან, მაისში, ჩაეყარა საფუძველი — სპორტსაზოგადოება „შევარდენის" თაოსნობით და ჭადრაკის რესპუბლიკური ფედერაციის, ჭადრაკის სასახლის, სპონსორების თანადგომით თბილისში ჩატარდა დიდი საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირი „შევარდენი-92". ასპარეზობამ თავი მოუყარა არა მარტო საქართველოს თითქმის ყველა საუკეთესო მოჭადრაკე ქალსა და ვაჟს, არამედ სტუმრებსაც სომხეთიდან, აზერბაიჯანიდან, რუსეთიდან, სხვა ქვეყნებიდან.

„შევარდენის" რესპუბლიკური საბჭოს ხელმძღვანელობამ გამონახა სახსრები, რათა წლეულსაც ჩაატაროს ანალოგიური ტურნირი — „შევარდენი-93", ცხადია, ისევ მეოხეთა მხარდაჭერით, ისევ მაისში და ისევ ჭადრაკის სასახლეში. ამჯერად იასპარეზებენ საქართველოს, აზერბაიჯანის, სომხეთის, თურქეთის, ირანის, ისრაელისა და სხვა ქვეყნების სპორტსმენები.

„შევარდენს" უკვე ამოუდგნენ მხარში კომერციული ფირმები „ისინდი" და „კაისა", ჭადრაკის რესპუბლიკური ფედერაცია, ჭადრაკის სასახლე. „შევარდენს" იმედი აქვს, რომ თანამდგომთა რიცხვი კიდევ გაიზრდება. საგრძნობლად იმატა საპრიზო ფონდმა. გამარჯვებული 600 ამერიკულ დოლარს მიიღებს, მეოცე ადგილზე გასული — 20 ათას მანეთს. ექსტრაკლასის დიდოსტატებს ჰონორარის სახით თითოეულს 100 ათასი მანეთი გადაეცემა, სხვებს რანგის მიხედვით — შედარებით ნაკლები.

ვარაუდობენ, რომ ტურნირს მონაწილეობით დაამშვენებენ მსოფლიო ექსჩემპიონები ნონა გაფრინდაშვილი და მაია ჩიბურდანიძე, მსოფლიო ჩემპიონობის პრეტენდენტი ნანა იოსელიანი, ორი ქეთევანი — არახამია და კახიანი, ნინო გურიელი, ზურაბ აზმაიფარაშვილი და ზურაბ სტურუა, ელიზბარ უბილავა, გენადი ზაიჩიკი, გია გიორგაძე და სხვები. მონაწილეთა შორის იქნებიან ისინიც, რომლებმაც ამ ზაფხულს სხვადასხვა ასაკის მოჭადრაკეთა მსოფლიო და ევროპის ჩემპიონატებში უნდა სცადონ ძალა.

მსოფლიო ჩემპიონატი

გასულ ოთხშაბათს გაიმართა ფეხბურთში მსოფლიოს XV ჩემპიონატის შესარჩევი მატჩები ევროპის ზონაში.

I ჯგუფი. იტალია — მალტა 6:1.

II ჯგუფი. ჰოლანდია — სან-მარინო 6:0.

IV ჯგუფი. კვიპროსი — ჩეხოსლოვაკეთი 1:1.

საქართველოს პირველობა

23 მარტს პირველი ჯგუფის გუნდებმა გამართეს მორიგი ტურის შეხვედრები. მნიშვნელოვანი გამარჯვება მოიპოვა გათამაშების ლიდერმა ქობულეთის „შუქურამ", რომელმაც მცხეთაში დაამარცხა „არმაზი" — 1:0. ქობულეთელებს კვალში მისდევს ჭიათურის „მაღაროელი", მან ბოლნისის „სიონი" დაამარცხა — 3:2. მეტად პრინციპულ მატჩში ოზურგეთის „მერცხალმა" მოუგო ვანის „სულორს" (1:0) და მტკიცედ დამკვიდრდა ცხრილის მესამე საფეხურზე (შეგახსენებთ, რომ მოქმედი დებულებით უმაღლეს ჯგუფში პირველ 3 ადგილზე გასული გუნდები გადავლენ).

სხვა შეხვედრები: „დურუჯი" — „არაგვი" 1:0, „მეშახტე" — „ბახტრიონი" 1:0, „საპოვნელა" — „იმერეთი" (3:1).

* * *

მორიგი შეხვედრები გაიმართა მეორე ჯგუფშიც. **აღმოსავლეთის ზონა:** „ნაფარეული" — „ანცი" 1:1, „ქიზიყი" — „შირაქი" 0:3, „იმედი" — „ფხოვი" 11:0, „ჭაბუკიანი" — „სამგორი" 7:1, „გარეჯი" — „შავნაბადა" 5:2. **ცენტრალური ზონა:** „მეტეხი" — „ზარზმა" 4:0, „თორი" — „ჩიხურა" 1:0, „მერანი-91" — „ქინვალი" 5:0.

„ჰერაკლიდები": ტანი და იდეოლოგია

(დასასრული)

და დაიბუდოს, კვლავ უნდა შეერწყას ქართველში სულის, გონის, სხეულის სიძლიერე, თორემ ჩვენი თრევის მოწადინე მტერი არც უწინ გვაკლდა, არც ახლა გვაკლია და მომავალში რა იქნება, ვინ იცის, აი, ეს გახლავთ ჩვენი საფიქრალი, თუ გნებავთ, იდეოლოგიაც უწოდეთ, ამან შეგვყარა და გაგვაერთიანა „ჰერაკლეში" და არა უბრალოდ „ტანის დაყენების" სურვილმა, როგორც ეს ზოგჯერ ჰგონიათ ხოლმე...

მისი არაკეთილმოსურნეც რომ ვიყო, გიორგი ხომერიკს მაღალფარდოვანი საუბრით კეკლუცობას ვერ დავაბრალებდი იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ მის სიტყვებს საქმე უმაგრებს ზურგს: გვარდიის უფროსი კაპიტანი გახლავთ და წვევამდელებს საერთო ფიზიკურ მომზადებაში, ათლეტიზმსა და ხელჩართულ ბრძოლაში ავარჯიშებს. გენერალმა გია ყარყარაშვილმა და სატანკო პოლკის უფროსმა, პოლკოვნიკმა ზაზა რუსაძემ, მათ, ვინც უშუალოდ მოაგვარეს ეს საქმე, კარგად უწყიან ჯარისკაცის ჯანმრთელობის ფასი.

თბილისში სხვა უცხოელებთან ერთად შრილანკელი სტუდენტებიც სწავლობდნენ. მათგან ერთს, 18 წლის გოგოს ხერხემლის გამრუდება აწუხებდა, საცოდავი გაწამებული იყო ტკივილებით. აქაური ნაცნობებისგან შეიტყო, რომ თბილისში ცხოვრობდა კაცი, რომელიც ამ დაავადებას ჰკურნავდა. მიაკითხა და... ორ-სამ თვეში „წელში გაიმართა". სხვათა შორის, ეს გოგო შრი-ლანკის პრეზიდენტის ექიმის ნათესავი გახლდათ. როცა გახარებულმა თავისიანებს აცნობა, მოვრჩი, ტკივილები თუ მაწუხებდა, აღარც კი მახსოვსო, ვინ გიმკურნალაო, ცხადია, დაინტერესდნენ. მერე მისი თბილისელი მხსნელი სამოთხისდარ შრი-ლანკაში მიიპატიჟეს მადლიერების ნიშნად და თან პაციენტებიც დაახვედრეს. ერთი მათგანი თვით ქვეყნის საიდუმლო სამსახურის უფროსის 19 წლის ვაჟი იყო, ისიც ხერხემლის გამრუდებას გაეტანჯა. მალე ისიც, მორჩა. აქ დარჩი, არაფერს გაგიჭირვებთო, შესთავაზეს თბილისელ მკურნალს, მაგრამ...

ბორის ბერეჟნოი ახლა აქ არის — „ჰერაკლეში" მწვრთნელ-კონსულტანტია, დეტექტიურ საზოგადოება „დეტაში" კი სპორტულ-გამაჯანსაღებელ ცენტრს ხელმძღვანელობს. მას თქვენც იცნობთ: რამდენიმე წლის წინ ტელეპროგრამა „ნაშუადღევის" შემდეგ ათლეტიზმის მოყვარულთათვის ტელესერიალი რომ გადაიცემოდა, სწორედ იგი გახლდათ მისი „მთავარი მოქმედი პირი".

— მართლაც შემიძლის ვუმკარნალო ხერხემლის გამრუდებას, ბრტყელტერფიანობას, ცერებრალური დამბლის დანატოვარ ნაკლოვანებებს. — მეუბნება ბორისი. — ეს შედეგია მრავალწლიანი გამოცდილებით შერჩეულ ვარჯიშთა კომპლექსისა, რომელსაც, თუ თავის ქებაში არ ჩამომართმევთ, არაერთი სვეგამწარებულისთვის დაუბრუნებია ცხოვრების ხალისი, რაც ყველაზე დიდი ჯილდოა ჩემთვის. ვოცნებობ იმ დროზე, როცა ათლეტიზმს ჩამოშორდება ელიტურობის ხიბლი და ყველაზე ჩვეულებრივ სახეობად იქცევა საქართველოში, ჩვეულებრივ კი არა ყოფითადაც კი — ისეთივე ჩვევად და წესად, როგორიცაა ყოველდღიური ჰიგიენა.

ედუარდ ზურაბიანი — კლუბის უფროსი მწვრთნელი: „ჰერაკლეში" დღეისათვის 80-მდე კაცი ვარჯიშობს. ყველაზე უმცროსი, გიორგი ქავთარაძე 13 წლისაა, ყველაზე ხნიერი, ენრიკო კოპლატაძე — 52 წლის. სხვათა შორის, იგი რიგის საერთაშორისო ტურნირის მესამე პრიზიორია 40 წელს გადაცილებულთა შორის. საქართველოს ჩემპიონატის პრიზიორებიც გვყავს — ვეფხია აფციაური და კარენ ტეროგანეზოვი. ყველაზე ძალიან კი ის გვეამაყება, რომ ჩვენი კლუბის წევრები ვეფხია აფციაური, ვასო ჯავახიშვილი, ნუგზარ ბექაური და ზურაბ [illegible]შვილი სამაჩაბლოსა და აფხაზეთში იბრძოდნენ, ნოდარ ბაჩუკაშვილი კი ახლაც სოხუმის დამცველთა რიგებშია.

ჯუდუ ქამუშაძე — მთაწმინდის რაიონის სპორტკომიტეტის თავმჯდომარე: მე თუ მკითხავთ, ამ კლუბის ერთი დიდი სიკეთე, ნუ გაიკვირვებთ, მისი ადგილმდებარეობაც **ქალაქის შუაგულშია, ძველ თბილისურ უბანში — გრიბოედოვის 14-ში,** რაც შინაურულ ატმოსფეროს უქმნის მოვარჯიშეებს. თავის დროზე ამ კლუბის ჩამოყალიბებისას ტრიალი მიდგომ-მოდგომა და ურწმუნოთა დარწმუნება მეც დამჭირდა, მაგრამ არ ვნანობ — გარჯა ამ საქმეს ყველა მოთავესა და გულშემატკივარს დაუფასდა. ნეტავი თბილისის ყველა უბანში იყოს ასეთი ადგილები, სადაც მოზარდი სახლის სიახლოვესვე შეისწავლიდა ჯანმრთელობის ანბანს.

თ. შენგელია

„ჰერაკლე": კლუბის პორტრეტი.

ნახევარმცველი თუ თავდამსხმელი?

უკვე ამდენი წელია თამაშობს ფეხბურთს ურუგვაელი ენცო ფრანჩესკოლი (დაიბადა 1961 წელს) და სპეციალისტებს შორის ახლაც არ წყდება კამათი: ნახევარმცველია იგი თუ თავდამსხმელი? სწორი პასუხი კი, შესაძლოა, ასეთი იყოს — შესანიშნავი ნახევარმცველიც არის და მშვენიერი თავდამსხმელიც!

დასაწყისში ფრანჩესკოლი მონტევიდეოს უმნიშვნელო კლუბ „უონდერერსში" თამაშობდა, მაგრამ მალე ყურადღება მიიქცია და ქვეყნის ახალგაზრდულ ნაკრებში მოხვდა. ამ გუნდმა 1981 წელს სამხრეთ ამერიკის ჩემპიონის წოდება მოიპოვა, მაგრამ თქვენ წარმოიდგინეთ, ურუგვაის უძლიერესმა და უმდიდრესმა კლუბებმა — მონტევიდეოს „პენიაროლმა" და „ნასიონალმა" მაინც არ გამოიჩინეს დიდი ინტერესი ენცოსადმი, თუმცა მას მოწვევა იტალიიდანაც მოუვიდა და ბრაზილიიდანაც. 1983 წელს ფრანჩესკოლიმ ამ წინადადებებზე უარი თქვა და ბუენოს-აირესის „რივერ პლეიტში" გადავიდა.

სამშობლოშიც და „რივერ პლეიტშიც" (სადაც ენცომ ხუთი სეზონი გაატარა) იგი დიდხანს დირიჟორის როლში გამოდიოდა, თუმცა თვითონ მიაჩნდა, რომ ნამდვილი თავდამსხმელის როლის შესასრულებლად „რაღაცა" აკლდა. შესაძლოა, არც ისე კარგი დრიბლინგი ჰქონდა და მჭიდრო მეურვეობის შემთხვევაში თავს „უხერხულად გრძნობდა", მინდვრის სიღრმიდან კი შესანიშნავად თამაშობდა, უნაკლო გადაცემები და პარტნიორებთან კონტაქტის დამყარების გრძნობა გააჩნდა.

ასეთი შეხედულება საკუთარ თავზე ახალგაზრდა ოსტატს ჯერ კიდევ „უონდერერსში" თამაშის დროს შეექმნა, მაგრამ „რივერ პლეიტის" ცნობილი მწვრთნელი ეკტორ ვიერა სულ სხვაგვარად ფიქრობდა. მისი აზრით, ენცო ნახევარმცველი კი არა, ნამდვილი თავდამსხმელი იყო. საინტერესოა, რომ ვიერას სავსებით დაუჭირა მხარი ურუგვაის ნაკრების მრავალნაცადმა მწვრთნელმა ომარ ბორასმაც.

უკვე 1984 წლიდან ფრანჩესკოლიმ, როგორც თავდამსხმელმა არგენტინის ჩემპიონატში (რომელიც თავისი შემადგენლობით, რა თქმა უნდა, აღემატება ურუგვაისას) ნამდვილი ფურორი მოახდინა. არგენტინელებს არ უყვართ, როცა მათი ქვეყნის პირველობაზე მთავარ როლებს უცხოელები ასრულებენ, მაგრამ რას იზამდნენ! 1984 წელს ენცომ ჩემპიონატში 24 გოლი გაიტანა და სამხრეთ ამერიკის № 1 ფეხბურთელი გახდა, ე. ი. ის წოდება მიიღო, რომელიც მანამდე პელეს, კუბილასს, ტოსტაოს, ფიგეროას, კემპესს, მარადონას, ზიკოს და სოკრატესს ჰქონდათ. 1985 წელს ისტორია გამეორდა — ენცომ ახლა 25 ბურთი გაიტანა და საკამათო კვლავაც აღარაფერი იყო. რაც შეეხება „არასრულფასოვნების კომპლექსს", მისგან აღარაფერი დარჩა: ფრანჩესკოლი თამამად იბრძოდა, ნებისმიერ მცველს უტევდა, არც უხეშობისა ეშინოდა...

ურუგვაიში ჭაბუკ ფრანჩესკოლის „ჯენტლმენს" უწოდებდნენ. არგენტინაში, სადაც მასზე როგორც ფორვარდზე, უკვე აშკარად ნადირობდნენ, ენცო მაინც არ კარგავდა თავშეკავების უნარს და მეტოქეების გამომწვევ საქციელს არ პასუხობდა. ფრანჩესკოლი თამაშობდა მოედნის მთელ სიგრძე-სიგანეზე, „მთელი მატჩის დროს განუწყვეტლივ აზროვნებდა და ორიგინალურ გადაწყვეტილებებს ღებულობდა" (სოფიის გაზეთი „ნაროდენ სპორტი"). „მას გოლის გატანის დიდი ტალანტი აქვს. როგორ შეიძლება სათანადოდ არ შევაფასოთ ფრანჩესკოლის ასეთი უნარი" (ომარ ბორასი და ეკტორ ვიერა).

„რივერ პლეიტისა" არ იყოს, ურუგვაის ნაკრებმაც შეიძინა ნამდვილი ლიდერი. ზოგი სპეციალისტი მის თამაშს დი სტეფანოსა და კრუიფის „თავისებურ სინთეზადაც" კი მიიჩნევს. „იგი ძალიან ძლიერად ურტყამს" — წერს ცნობილი იუგოსლაველი მწვრთნელი ტაკაჩი, „ფრანჩესკოლი ძალიან სახიფათო ფეხბურთელია, არავინ იცის, რას მოიმოქმედებს", — აღნიშნავდა პარიზის გაზეთი „ეკიპი".

1986 წელს უკვე გამოჩენილი ოსტატი პარიზის „რესინგში" გადავიდა. მის საფასურად 2,6 მილიონი დოლარი გადაიხადეს და ამას 680 ათასი დოლარიც დაამატეს, რომელიც ფრანჩესკოლიმ ამხანაგურ მატჩებში მონაწილეობისათვის ჰონორარის სახით მიიღო. სულ მოკლე ხანში იგი საფრანგეთში დიდად პოპულარული ფეხბურთელი გახდა, სწორედ ისეთი, როგორიც ურუგვაისა და არგენტინაში იყო. ახლა იგი იტალიის კლუბ „კალიარიში" გამოდის.

ხომ ასეთი ძლიერია ფრანჩესკოლი, აი, მსოფლიო ჩემპიონატებში კი ჯერჯერობით არ უმართლებს, თუმცა რა არის აქ გასაკვირი? ერთი მხრივ, ურუგვაელები მეტისმეტად ძლიერ მეტოქეებს ხვდებიან. მომზადების პირობები კი ძალიან ცუდი აქვთ. თუ სხვა გუნდები თვეობით ემზადებიან, ურუგვაის ნაკრების ხელმძღვანელობა მოთამაშეებს უშუალოდ შეჯიბრების დაწყების წინ თუ მოუყრის ხოლმე თავს და ისიც გვარიანად დაღლილ-გამოფიტულებს. რა შეუძლია ასეთ ვითარებაში თუნდაც თვით ენცო ფრანჩესკოლის!

ბიჟი გამრეკელი

სმირნოვი იცავს სოკს

საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის ერთ-ერთი კომისიის თავმჯდომარემ, რუსეთის ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტმა ვიტალი სმირნოვმა ჟურნალისტებთან საუბარში განაცხადა, რომ ოლიმპიური თამაშების პროგრამაში მოხვედრის რეალური შანსი აქვთ ტრიატლონსა და გოლფს. ისინი უპასუხებენ ყველა იმ მოთხოვნას, რომელსაც საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი უყენებს სპორტის სახეობას: ვაჟთა ტრიატლონი და გოლფი დანერგილია მსოფლიოს 4 კონტინენტის 75, ქალთა კი — 40 ქვეყანაში.

სმირნოვმა უარყო მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა მიერ ბოლო დროს წაყენებული ყველა ბრალდება სოკის წევრთა მიმართ. მისი განცხადებით, სოკის წევრები თვითმფრინავით მგზავრობის დროს ყიდულობენ ან ეკონომიკური (თუ მანძილი 2500 კილომეტრზე ნაკლებია), ან პირველი (თუ მანძილი უფრო დიდია) კლასის ბილეთებს. მეუღლეთა ბილეთებსა და სასტუმროში ცხოვრების ხარჯებს საკუთარი ბიუჯეტიდან იხდიან, ხოლო სამივლინებო ხარჯები დღე-ღამეში მხოლოდ 100 დოლარით განისაზღვრება.

მაგრამ მან ამავე დროს აღნიშნა, რომ, როცა ოლიმპიადის კანდიდატ ქალაქთა ინსპექტირება ხდება, მდგომარეობა მკვეთრად იცვლება. სოკის წევრები და მათი თანმხლები პირნი ფეშენებელურ სასტუმროებში ცხოვრობენ. ორივე მიმართულებით ავიაბილეთს მასპინძლები ყიდულობენ და ცხოვრობენ მიმპატიჟებელთა (და არა სოკის) ხარჯზე. მაგრამ ასეა ყველგან და არა ერთ რომელიმე ქალაქში. მან კატეგორიულად უარყო ძვირფასი საჩუქრებისა და ქრთამის აღების ფაქტები. ეს, მისი აზრით, ჟურნალისტთა ფანტაზიის ნაყოფია და მათი დამტკიცება, პრაქტიკულად, შეუძლებელია.

მეორიდან ისევ პირველზე

ნიუ-იორკი. ამერიკის შეერთებული შტატების ქალაქ კი-ბისკეინში დამთავრდა ჩოგბურთელთა დიდი საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც შტეფი გრაფმა (გერმანია) წააგო ფინალური შეხვედრა არანტა სანჩეს-ვიკარიოსთან (ესპანეთი) და მეორე ადგილი დაიკავა. გრაფისთვის ამ წარუმატებელი შედეგის მიუხედავად, გერმანელმა ჩოგბურთელმა მსოფლიო კლასიფიკაციაში მეორე ადგილიდან ისევ პირველზე გადაინაცვლა.

გთავაზობთ კომპიუტერული რეიტინგის შედეგებს მიმდინარე წლის 22 მარტისთვის:

შტეფი გრაფი (გერმანია)	— 1490
მონიკა სელეში (იუგოსლავია)	— 1410
არანტა სანჩესი (ესპანეთი)	— 1180
მარტინა ნავრატილოვა (აშშ)	— 980
მერი-ჯო ფერნანდესი (აშშ)	— 815
გაბრიელა საბატინი (არგენტინა)	— 795
იანა ნოვოტნა (ჩეხეთი)	— 672
კონჩიტა მარტინესი (ესპანეთი)	— 570
ამანდა კუტცერი (სამხ. აფრ. რესპ.)	— 539
ჯენიფერ კაპრიატი (აშშ)	— 530

* * *

სურათზე: არანტა სანჩესი — ტრიუმფის წუთი.

კასპაროვი ფიშერზე და კარპოვზე

გაზეთ „არგუმენტი ი ფაქტიში" დაიბეჭდა საინტერესო ინტერვიუ მსოფლიო ჩემპიონ გარი კასპაროვთან. გთავაზობთ ნაწყვეტს ამ საუბრიდან, რომელიც ეხება დიდოსტატის ურთიერთობას ანატოლი კარპოვთან და ბობი ფიშერთან...

● **როგორი შანსები აქვს ამჟამად კარპოვს?**

— კარპოვი ჩემპიონი იყო და მას, ბუნებრივია, მხოლოდ ამ ტიტულის დაბრუნება აძლევს ხელს. ამის შანსი კი დღესდღეობით მას არა აქვს. კარპოვს 42 წელი შეუსრულდა და, ჩემი აზრით, მისი სპორტული ბიოგრაფიის საუკეთესო წლებმა უკვე გაიარა, თუმცა ტურნირებს იგი კვლავ ბლომად იგებს. მას აქვს გიგანტური ძალა, მაგრამ, როგორც შორტთან ჩატარებულმა მატჩმა ცხადყო, სერიოზული ჩავარდნებიც აქვს. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ნერვულ დაძაბულობას მთელი მატჩის მანძილზე ვერ უძლებს.

ჩვენ ერთმანეთს ხუთჯერ შევხვდით მატჩში, ვითამაშეთ 144 პარტია. ეს იმდენად მომქანცველი და დამღლელი იყო, ჩემზეც კი იმოქმედა, მე კი, მოგეხსენებათ, 12 წლით ახალგაზრდა ვარ მასზე და, ცხადია, უფრო ჯანმრთელიც. მაგრამ შედეგებით, რომელსაც დღეს აღწევს სხვადასხვა ტურნირში, უდავოდ პატივისცემას იმსახურებს — კარპოვი მაინც კარპოვად რჩება. მას ფიშერისა და სპასკისგან განსხვავებით უკეთაც ესმის თამაში და უკეთესი იდეებითაც გამოირჩევა.

● **ჭადრაკი არ არის მხოლოდ იდეების ბრძოლა. ხშირად ჩვენ თამაშის პროცესში ადამიანების, პიროვნებების ბრძოლის მოწმენიც ვხდებით. ამ ცოტა ხნის წინ ინგლისელმა დიდოსტატმა შორტმა, რომელთანაც მალე მოგიწევთ შეხვედრა, თქვენზე თქვა: არაჩვეულებრივად თავხედი ტიპია და უყვარს ვალსიო. მართლა გიყვართ ვალსი?**

— ვერ ვიტყვი, არ მიყვარსო. ისე კი, ძნელია სერიოზულად მიიღო შორტის კრიტიკა. ჩვენი ანგარიში ხომ 10:1 ჩემს სასარგებლოდ. ჭადრაკის სამყარო მის შანსებს მინიმალურად აფასებს. მან შეტევის წარმოებისთვის სპეციალური კუთხე უნდა მოძებნოს. აქ კიდევ ერთი საინტერესო დეტალია: შორტი კონცენტრირებულ ფორმაში გამოხატავს დასავლეთის დიდოსტატებში გავრცელებულ მსოფლმხედველობას, რომელსაც მე დავარქმევდი დასავლეთევროპელთა აგრესიულ, მეშჩანურ სიძულვილს აღმოსავლეთ ევროპელებისადმი.

ასეთი დაყოფა მოხდა იმიტომ, რომ მათ იციან: ჩვენ უკეთ ვთამაშობთ. მათი თვალსაზრისით ჩვენ ვართ ვანდალების ბანდა, რომელსაც მიაქვს მთელი ფული საჭადრაკო ტურნირებიდან...

● **როგორ აფასებთ ფიშერის მოსაზრებებს თქვენს შესახებ?**

— ფიშერს საკმაოდ მწყობრი მსოფლმხედველობა აქვს ჩამოყალიბებული. ის, რასაც იგი ლაპარაკობს, კარგად თავსდება სიონისტთა მსოფლიო შეთქმულების თეორიაში, სადაც ჭადრაკი ერთ მცირე თავს წარმოადგენს. სიონიზმს იგი ჰყოფს წითელ (საბჭოთა) და ამერიკულ სიონიზმად. თანაც ეს ორი სიონიზმი მუდმივად ებრძვის ერთმანეთს და ყველაფერი, რაც ხდება მსოფლიოში, მეტნაკლებად ამ ორი ძალის დაპირისპირებას ასახავს. ფიშერს ჰგონია, რომ ამ ორი ძალის ურთიერთშეთანხმებამ განდევნა იგი ჭადრაკიდან.

მაგალითებსაც ადვილად პოულობს: „კასპაროვისა და კარპოვის მატჩში ყველაფერი წინასწარ იყო გათვლილი. თანაც, თავდაპირველად უარყოფით როლს კარპოვი ასრულებდა, კასპაროვი კი ფიშერზე მხოლოდ კარგს ამბობდა. ახლა კასპაროვს ახალი მითითება მისცეს და მან უნდა მიიტანოს იერიში ფიშერზე". საგულისხმოა, რომ სპასკი ამასთან დაკავშირებით არაფერს ამბობს.

● **ხომ არ გეშინიათ ფიშერთან დამარცხებისა? ხომ არ გიფიქრიათ ოდესმე: ვაითუ გამომიწვიოს მატჩში სათამაშოდ.**

— არსებული წესების თანახმად, სათამაშოდ მე უნდა გამოვიწვიო იგი და არა პირიქით. რაც შეეხება მის პროფესიულ დონეს, ამაზე შეიძლება ვიმსჯელოთ სპასკისთან მატჩში გამარჯვებით. მაგრამ საქმე ისაა, რომ სპასკი თექვსმეტი წლის გოგონამაც დაამარცხა... ფიშერმა დაგვარწმუნა, რომ შეუძლია ჭადრაკის თამაში ოცწლიანი შესვენების შემდეგ, მაგრამ ამ თემაზე სერიოზული საუბარი მაშინ შეიძლება, როცა ფიშერი სერიოზულ ტურნირში ითამაშებს.

● **როგორ ფიქრობთ, კარპოვთანაც დამარცხდება?**

— რა თქმა უნდა. კარპოვი უბრალოდ, გაანადგურებს მას. ვფიქრობ, აქ არავითარი ბრძოლა არ იქნება. კარპოვს იგი ფსიქოლოგიურ სტიმულს მისცემს, ჩამოირეცხოს 1975 წლის სირცხვილი, როცა ქაღალდის ჩემპიონად გამოაცხადეს.

● **მაშ, რატომ არ იწვევთ მას მატჩში?**

— ეს უაზრობაა. ფიშერი ამაზე არ წავა. დარწმუნებული ვარ, მას საჭადრაკო ობიექტურობის გრძნობა არ ღალატობს. თუ ფიშერს თამაშის სურვილი გაუჩნდება, ასეთი შეხვედრა უსათუოდ შედგება. ამავე დროს, ეს იქნება ჩემთვის და ჩემი სკოლისთვის ბრწყინვალე საჩუქარი. მე გამომადგებოდა ფული, რომელსაც ამ მატჩის ორგანიზატორები გადაიხდიან...

არასოდეს დაივიწყებენ...

სიკვდილიც კარგს ირჩევსო! მაგრამ რამდენი უნდა იცხოვრო, რომ კარგი ყმის სახელი დაიგდო, რამდენი უნდა იცხოვრო, რომ ტოლ-ამხანაგებში, ახლობლებში და, რაც მთავარია, ისეთ ვრცელ სამყაროში, როგორიც სპორტია, ყველას შეაყვარო თავი?

მამუკა გაგუნაშვილი 19 წლისა იმსხვერპლა ტრაგიკულმა შემთხვევამ, მაგრამ ამ ასაკში იგი უკვე ყველასათვის სამაგალითო და საყვარელი ახალგაზრდა იყო. სპორტის მეშვეობით კი მამუკა მთელმა რესპუბლიკამ გაიცნო — იყო ძიუდოში საქართველოს მოსწავლეთა და ჭაბუკთა მრავალგზის ჩემპიონი, საერთაშორისო ტურნირების პრიზიორი.

კლუბი „რაინდები", ისევე, როგორც ახლობლები და მეგობრები, არ ივიწყებს ახმეტელ ფალავანს — გადაწყდა, მის მშობლიურ რაიონში ჩატარდეს მამუკა გაგუნაშვილისადმი მიძღვნილი რესპუბლიკური ტურნირი, რომელიც უდროოდ დაღუპული ძიუდოისტის დაბადების დღეს მიეძღვნება.

27 მარტს მამუკას 21 წელი შეუსრულდებოდა.

ოლიმპიელთა ბენეფისი

ჩარლზ ბარკლი — 38, მაიკლ ჯორდანი — 47

ნბა-ს ჩემპიონატის აბსოლუტური ლიდერის — „ფენიქს სანსის" კალათბურთელებისთვის საბედისწერო გამოდგა „ინდიანა პეისერსთან" შეხვედრის ბოლო წამები: შინ, ათასობით გულშემატკივრის თანდასწრებით დამარცხდა მხოლოდ ერთი ქულის სხვაობით — 108:109. „ფენიქსისთვის", რომელსაც, როგორც მოგახსენეთ, დღესდღეობით აბსოლუტურად საუკეთესო მაჩვენებელი აქვს (48 გამარჯვება, 15 დამარცხება, 762 პროცენტი), ეს იყო მეოთხე მარცხი შინ ჩატარებულ 32 მატჩში.

ბრძოლის ბედი გადაწყვიტა ინდიანელ რეჯი მილერის ორმა ზუსტმა საჯარიმო ტყორცნამ, როცა შეხვედრის დამთავრებას 12 წამიღა აკლდა. ასეთ დრამატულ დასასრულს არავინ ელოდა, მით უფრო, რომ პირველი ტაიმის შემდეგ მასპინძლების უპირატესობა 14 ქულა იყო. ბოლო პერიოდში ანგარიში სამჯერ გახდა საყაიმო, რაც შეეხება უპირატესობას, თორმეტჯერ ხან ერთი გუნდი იყო წინ, ხან მეორე. თანაც ხაზი უნდა გაესვას იმას, რომ უპირატესობა სამ ქულას არც ერთ მომენტში არ აჭარბებდა. „ფენიქსის" ლიდერმა, ოლიმპიურმა ჩემპიონმა ჩარლზ ბარკლიმ თავის გუნდს 38 ქულა შესძინა. მატჩის გმირის მილერის ანგარიშზეა 26 ქულა.

ჩ. ბარკლი

ბარსელონის ოლიმპიადის მეორე ჩემპიონმა მაიკლ ჯორდანმა ტრავმის გამო რამდენიმე მატჩი გამოტოვა, მერე კი გამოვიდა მოედანზე და ისევ გააკვირვა თავისი მრავალრიცხოვანი ქომაგი ბრწყინვალე, სნაიპერული სროლებით. იგი იყო ერთ-ერთი ავტორი ნბა-ს ჩემპიონის „ჩიკაგო ბულსის" მორიგი, დამაჯერებელი გამარჯვებისა გათამაშების ერთ-ერთ აუტსაიდერთან „ვაშინგტონ ბულეტსთან" — 126:101. ჯორდანმა 47 ქულა აიღო. გააკეთა 4 შედეგიანი გადაცემა და 8-ჯერ დაეუფლა ფარიდან ასხლეტილ ბურთს

აღმოსავლეთის კონფერენცია

ატლანტის დივიზიონი

	მ.	წ.	%
„ნიუ-იორკი"	45	18	714
„ნიუ-ჯერსი"	39	26	600
„ბოსტონი"	37	28	569

ცენტრალური დივიზიონი

„ჩიკაგო"	45	20	692
„კლივლენდი"	41	24	631
„შარლოტი"	35	30	538

დასავლეთის კონფერენცია

შუა-დასავლეთის დივიზიონი

„ჰიუსტონი"	42	23	646
„სან-ანტონიო"	40	23	635
„იუტა"	37	28	569

წყნარი ოკეანის დივიზიონი

„ფენიქსი"	48	15	762
„სიეტლი"	46	20	697
„პორტლენდი"	37	25	697

რედაქტორის მოადგილე
თამაზ მიგრიაული



ბორის პაიჭაძის
სახელობის
ეროვნული სტადიონი

აკ. წერეთლის გამზირი № 2

საქართველოს
ეროვნული ჩემპიონატი
ფეხბურთში

30 მარტი

„დინამო" (თბილისი) —
„სამტრედია" (სამტრედია)

დასაწყისი 15 საათზე

ბილეთები გაიყიდება სტადიონის სალაროებში 30 მარტს დილის 11 საათიდან.

ჩვენი მისამართი: თბილისი, 380096, ნ. კოსტავას, 14. ☎ ტელ: 99-56-14, 99-81-72. ინდექსი 66485 INDEX დაიბეჭდა გამომცემლობა „სამშობლოს" სტამბაში.